



კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის სამართლის სკოლა (CSL)

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Law
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	დოქტორანტურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	რეგულირებადი
სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	(06)
ქართულად:	სამართლის დოქტორი (06)
ინგლისურად:	Doctor of Law (06)
პროგრამის დამტკიცების თარიღი	უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2009 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით N01/01-111
პროგრამის განახლების თარიღი	უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2020 წლის 30 მარტის ბრძანება N01/01-13

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები
სრული ინფორმაცია იხ. “ პროგრამის ხელმძღვანელის CV”

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ვახტანგ ზაალიშვილი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, პირველი წელი 60 ECTS, მეორე წელი და მესამე წელი 120 ECTS კრედიტი. შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 20-20 კალენდარულ კვირას. შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრედიტ-საათს, რაც მოიცავს, როგორც დოქტორანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, კონსულტაციები სამეცნიერო ხელმძღვანელთან, მიმართულების ხელმძღვანელთან, დოქტორანტურის კოორდინატორთან და ა.შ.), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის (სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, თემის აქტუალურობის დასაბუთება, გადასაჭრელი ამოცანების ჩამოყალიბება თეორიული და/ან ემპირიული კვლევა, ასისტირება, რეცენზირების და ა.შ) განკუთვნილ დროს.

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მოცულობიდან 60 ECTS კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 ECTS კრედიტი - კვლევით კომპონენტს.

სასწავლო წლის განმავლობაში დასაშვებია 60-ზე უფრო მეტი ან ნაკლები კრედიტების დაგროვება.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის (6 სემესტრის) ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე დოქტორანტს უფლება აქვს ატიური სტუდენტის სტატუსით სწავლას აგრძელებდეს არაუმეტეს 4 სემესტრის განმავლობაში.

სადოქტორო პროგრამის კომპონენტები	
სასწავლო კომპონენტი	60 ECTS კრედიტი
კვლევითი კომპონენტი	120 ECTS კრედიტი

სასწავლო კომპონენტი	
პირველი თემატური სემინარი	20 ECTS კრედიტი
მეორე თემატური სემინარი	20 ECTS კრედიტი
სამეცნიერო წერის თანამედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულო)	10 ECTS კრედიტი
სწავლების ინოვაციური მეთოდები(სავალდებულო)	5 ECTS კრედიტი
სამართლის ფილოსოფია (არჩევითი)	5 ECTS კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა (არჩევითი)	5 ECTS კრედიტი

კვლევითი კომპონენტი	
დისერტაციის შესრულება და დაცვა	120 ECTS კრედიტი

შენიშვნა:	ინდივიდუალურ კვლევით გეგმას ადგენს სამართლის სკოლის დოქტორანტი მეცნიერ-ხელმძღვანელთან (თანახელმძღვანელთან) შეთანხმებით.
------------------	---

	<p>ინდივიდუალურ კვლევით გეგმა მოიცავს ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის და სადისერტაციო ნაშრომის შესრულების გრაფიკს. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შედეგები უნდა იქნას ეტაპობრივად გამოქვეყნებული ორ სამეცნიერო სტატიაში ქართულ ინგლისურ ენაზე, სტატიებში უნდა აისახოს კვლევის სხვადასხვა ეტაპზე სადისერტაციო ნაშრომში წარმოსადგენი შედეგები. მხოლოდ ინგლისურენოვანი/უხოცხოენოვანი ინდექსირებად გამოცემაში სტატიის გამოქვეყნებისას დოქტორანტი თავისუფლდება ქართული ვერსიის გამოქვეყნებისაგან.</p>
--	---

<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p> <p>სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტურის საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებს და მინიმალურ სტანდარტს, რაც დეტალურად განისაზღვრება კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (CSL) დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება ხელმისაწვდომია ნებისმიერი დანტერესებული პირისათვის.</p> <p>სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის B 2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა. სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შიდა ტესტური გამოცდის მეშვეობით აღნიშნული ენის B 2 დონაზე ცოდნის დადგენას. შესაბამის ენობრივ კომპეტენციას უთანაბრდება შემთხვევა, თუ კი აპლიკანტს გააჩნია უცხოეთში (პროგრამის მითითებულ ენაზე გავლის შემთხვევაში) მიღებული ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის მქონე პროგრამის კურსდამთავრებულს და ასევე მობილობის წესით საქართველოს და უცხოეთის სამართლის სადოქტორო პროგრამებზე რიცხულ, სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტებს.</p>	
--	--

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>სადოქტორო პროგრამის მიზანი</p> <p>სადოქტორო პროგრამის მიზანია : სამართალმცოდნეობაში ახალი თაობის მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება, რომლებიც შეძლებენ ხელი შეუწყონ დარგის განვითარებას თეორიული და პრაქტიკული, მტკიცებითი ან ემპირიული კვლევების მეშვეობით;</p> <p>დოქტორანტებში კვლევისა და სწავლებისთვის საჭირო კომპეტენციათა განვითარების ხელშეწყობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად. პროგრამა ორიენტირებულია</p>
--

სამართლებრივი ანალიზის, ინტერდისციპლინური და კრიტიკული მიდგომის განვითარება და გადრეკილობაზე. კვლევებზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა;
 ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე ღირებულებებზე ორიენტირებული, დემოკრატიის, სამართლიანობისა და კანონიერების ერთგული სპეციალისტების მომზადება;
 აქტუალური სამართლებრივი პრობლემების სიღრმისეული მეცნიერული გააზრებისა და შეფასების უნარის განვითარება არსებული ცოდნის განახლებისა და მის დანერგვაში ხელშეწყობისათვის შესაბამისი ინსტრუმენტებით უზრუნველყოფით გზით;
 პრაქტიკულად გამოყენებადი და/ან თეორიული ღირებულების მქონე ნაშრომის შექმნა;

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგი

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება სამართლის მიმართულებით ეროვნული სამართლისა და უცხოური სამართლის სისტემების სპეციფიკის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, პროდუქტიული კვლევის კომპეტენცია.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს **ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი **ზოგადი კომპეტენციები:**

- სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული კვლევების სათანადო დონეზე წარმართვის და სამეცნიერო კვლევის პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენების უნარი;
- უახლეს წყაროებზე, მათ შორის, უცხოენოვან წყაროებზე დაყრდნობითა და კომპარატივისტული მეთოდოლოგიის გამოყენებით სამეცნიერო კვლევის წარმართვის, აგრეთვე უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების უნარი;
- სამეცნიერო მუშაობის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;
- არსებული ცოდნის გაფართოების უნარი;
- ინოვაციური მეთოდების გამოყენების, აგრეთვე ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის; ახალი იდეების გენერირების უნარი;
- სამეცნიერო - კვლევითი ნაშრომისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი;
- სამეცნიერო დებატებში ჩართვისა და საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად დასაბუთების, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან უცხოურ ენაზე თემატურ პოლემიკაში ჩართვის უნარი;
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის უნარი;
- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი;
- სამოქალაქო საზოგადოების წევრთა მოტივირებისა და მათი საერთო შედეგზე კონცენტრირების უნარი;
- სასწავლო პროგრამების შედგენის, სამეცნიერო-სამართლებრივი პროექტების შედგენისა და შეფასების უნარი;

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი **დარგობრივი კომპეტენციები:**

შედეგი A

- სამართლის დარგის ან შესაბამისი ქვედარგის განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული ახალი მეცნიერული ხედვები, დარგობრივი პრობლემატიკის გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომები;
- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიღება, რაც არსებული ცოდნის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით გაფართოების საშუალებას იძლევა (რევერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- არსებული ცოდნის კრიტიკული გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;

- სამართლის დარგის ან შესაბამისი ქვედარგის, ასევე დარგთაშორისო სფეროს სპეციფიკური (თეორიული და კვლევითი) მეთოდები, რომლებიც სამართლის მიმართულებით წარმატებით მუშაობის საფუძველია;
- სამართალი, როგორც ჰეტერონომიული წესრიგი და მისი არსებობის აუცილებლობის საკითხები, ფილოსოფიური კატეგორიები და მათი კავშირი სამართალთან; სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები;
- კვლევის (მათ შორის, სამართლებრივი კვლევის) პროცესების ასპექტები, დინამიკა, გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევის მეთოდები, კომპარატიული კვლევის მეთოდები, სოციოლოგიური კვლევის სახეები და მათი მნიშვნელობა სადისერტაციო კვლევისთვის.

შედეგი B

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის და მეცნიერული სიახლეების კვლევას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;
- სამეცნიერო ნაშრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაფორმებას და დაცვას;
- პრაქტიკულ საქმიანობაში სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენებას;
- ინტერდისციპლინური მეცნიერული კვლევის ორგანიზებას და შედეგიან პროფესიულ მუშაობას;
- კომპლექსური იურიდიული ნაშრომის ანალიზს და დასკვნის გაკეთებას;
- თანამედროვე მსოფლიოს გლობალური, ეროვნული პრობლემების სამართლებრივი მოწესრიგების ფილოსოფიური მოდელების, აგრეთვე სამართლის ფილოსოფიის ფუძემდებლური ცნებებისა და ძირითადი თეორიების შესახებ მეცნიერულ და არგუმენტირებულ მსჯელობას;
- ახალი სახელმძღვანელოებისა და სალექციო კურსების შემუშავებასა და თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის დანერგვას;
- სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით საუნივერსიტეტო განათლებასა და მეცნიერებაში საკუთარი წვლილის შეტანას;
- სამეცნიერო კვლევის აკადემიურად სტრუქტურირებას, ლოგიკურ მსჯელობას, არგუმენტაციასა და სამეცნიერო კვლევის შედეგების განზოგადებას.

შედეგი C

- პრობლემათა იდენტიფიცირებასა და სამართლებრივ ანალიზს, აგრეთვე პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას და დასაბუთებას;
- ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზას და მეცნიერულ შეფასებას;
- კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კვლევის მეთოდების ეფექტიანობის შეფასებას, კორექტირებასა და ახალი მეთოდების შემუშავებას.
- აკადემიურ ჯგუფში შექმნილი სასწავლო თავისებურებების ანალიზს და შეფასებას და ამის საფუძველზე პედაგოგიკურად გამართლებული გადაწყვეტილების მიღებას.

შედეგი D

- საკუთარი კვლევის შედეგების ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენას მეცნიერთა და სპეციალისტთა წრეში, მათ შორის, ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებზე;
- მეცნიერულ დებატებში ჩართვას, განსხვავებული აზრის გაგებას და საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულ დასაბუთებას;
- სამართლებრივი პრობლემის გადასაწყვეტად სამართლის ყველა წყაროს მოძიებას, ნებისმიერი სირთულის სამართლებრივი ინფორმაციის სტრუქტურირებას შესაბამისი ფორმატით, კონკრეტული ადრესატისათვის წარდგენას წერითი ან/და ზეპირი ფორმით, მათ შორის, ერთ-ერთ ევროპულ ენაზე;
- სამეცნიერო სტილის დაცვით და სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო ნაშრომის, ასევე საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციების სათანადოდ გაფორმებას, სტრუქტურირებასა და გამოქვეყნებას.

შედეგი E

- არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ახალი ცოდნის შექმნას;
- უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დაკვირვებას, ახალი მეცნიერული იდეების ან/და თვალსაზრისის განვითარებას;
- სადავო საკითხთან მიმართებაში შეხედულებების კონსტრუქციულად დაცვას;
- აკადემიურ ჯგუფთან კომუნიკაციას, სილაბუსის შედგენას სტუდენტებისათვის გასაგებ ენაზე და მის წარდგენას აკადემიურ ჯგუფში, სწავლების აქტუალურ პრობლემებზე კომუნიკაციას და საუნივერსიტეტო მართვის პროცესში მონაწილეობას.

შედეგი F

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტს ცხადად გააზრებული ექნება კანონიერების, სამართლიანობის, პიროვნული თავისუფლების, თანასწორობის, საზოგადოების დემოკრატიულ საწყისებზე ფუნქციონირების აუცილებლობის, სოციალური სახელმწიფოს ფუძემდებლური საწყისები და თავის წვლილს შეიტანს მათი ცხოვრებაში დანერგვისა პროცესში

დასაქმების სფეროები

კავკასიის უნივერსიტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებული აფორმებს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების შესახებ სამ წლიან შრომით ხელშეკრულებას. გარდა ამისა კურსდამთავრებულმა შეიძლება წარმატებით განახორციელოს პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობა სხვა უმაღლეს სასწავლებელში.
სამართლის დოქტორები შეძლებენ პედაგოგიურთან ერთად, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო საქმიანობის განხორციელებას, ასევე კონკურენტუნარიანები იქნებიან პროფესიაში მაღალი პოზიციების საპასუხისმგებლო თანამდებობების დასაკავებლად. როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ნებისმიერი დარგობრივი დაწესებულება, სისტემით „აკეთე და ისწავლე“

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
- ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს

ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასება (P – დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება (F – ვერ დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- (FX) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს;
- (F) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს.

დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ შეფასება იქნა „არადამაკმაყოფილებელი“ (41-50 ქულა - insufficienter) ან სრულიად „არადამაკმაყოფილებელი“ (41 ქულაზე ნაკლები - sub omni canone). დისერტაციის შეფასება ხორციელდება კოლეგიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკულით.

სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს განსაზღვრავს და აკონკრეტებს „კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ძირითადად დოქტორანტთან საქმიანობა ატარებს მკვეთრად სპეციფიკურ ხასიათს გამომდინარე მისი შესაძლებლობებიდან და კვლევის ინტერესებიდან.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესაბამისად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, წერითი მუშაობის, დემონსტრირების, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL), ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის, ქმედებაზე ორიენტირებული, ისტორიული, შედარებითი (comparative) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. დოქტორანტი ჩართულია სასწავლო და/ან კვლევით საქმიანობაში. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად. კონკრეტული მეთოდები განისაზღვრება შესაბამისი სალაბუსებით და სასწავლო კურსის სპეციფიკით. სწავლების პროცესში აპრობირებული სწავლების მეთოდების არსის დეფინიცია წარმოდგენილია კავკასიის სამართლის სკოლის დიდაქტიკურ სახელმძღვანელოში. ასევე მკვეთრად ინდივიდუალიზირებულია მეცნიერ-ხელმძღვანელის ზედამხედველობა დოქტორანტის მიერ წარმოებული კვლევისადმი.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
სამეცნიერო წერის თანამედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდები	აკადემიური კვლევის ზოგად მეთოდებთან ერთად სტუდენტები შეისწავლიან (გააღრმავებენ ცოდნას) სამართლებრივი კვლევისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. სამართლებრივი კვლევისთვის მომზადების მიზნით, ეტაპობრივად, იქნება განხილული აკადემიური ნაშრომის შექმნის სხვადასხვა სტადიები, საწყისი. მოსამზადებელი საფეხურიდან - დასკვნითი ეტაპის ჩათვლით. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა, ლექცია-სემინარებზე აქტიური მონაწილეობის საშუალებით განივითარონ სამეცნიერო ნაშრომის შექმნისთვის და სამართლებრივი კვლევისთვის საჭირო უნარები. სასწავლო კურსი ემსახურება სტუდენტების მომზადებას სამეცნიერო კვლევისთვის, რათა მათ, დამოუკიდებლად შეძლონ სამართლებრივი კვლევის წარმართვა.	სავალდებულო	10	I
სწავლების ინოვაციური მეთოდები	სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები თავდაპირველად გაეცნობიან კონცეფციებს, რომლებიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის მიზნებსა და პედაგოგიურ მიდგომებს. შემდეგ, მონაწილეები შეისწავლიან საგანმანათლებლო თეორიებს (მაგ. თეორია ერთი, მრავალმხრივი ინტელექტის თეორია, სოციალური დასწავლის თეორია), რომლებიც მათ დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კურსის დაგეგმვასა და განხორციელებაში. კურსის ფარგლებში მონაწილეები ასევე შეისწავლიან პედაგოგიური მიდგომების ძირითად ჩარჩოებს (ტრადიციულს, სისტემურს, კრიტიკულს და ა.შ.). კურსის ძირითადი ნაწილი დაეთმობა სხვადასხვა პედაგოგიური ხერხის შესწავლას, რომელიც დაეხმარება მათ საკუთარი მოსწავლეების მოტივირებაში, ცოდნის კონსტრუირებაში, სწავლის შედეგების შეფასებასა და სხვ შესაბამისი საკითხების გადაწყვეტაში. ამ ნაწილის ფარგლებში სტუდენტები გაიცნობენ, ასევე თანამედროვე ელექტრონული სწავლების მიდგომებსა და პლატფორმებს, შეისწავლიან ელექტრონული სასწავლო ობიექტების შემუშავების პრინციპებსაც.	სავალდებულო	5	II
სამართლის ფილოსოფია	სამართლის ფილოსოფიამოიცავს ისეთ საკითხებს, როგორც არის: სამართლის ფილოსოფია, როგორც სამართლის და ფილოსოფიის მეცნიერებათა კვლევის მეთოდების სინთეზური გაერთიანება და მისი სამართლებრივ-ფილოსოფიური კატეგორიები: სამართლის ფილოსოფიის წარმოშობის საფუძვლები და განსხვავება მიდგომებსა და მსოფლმხედველობებში: სამართალი, როგორც	არჩევითი	5	II

	მიზანი თუ ამოცანა საზოგადოებრივ უთიერთობათა ჭრილში: სამართლის აქსიოლოგია, სამართალი როგორც ღირებულება და შეფასება, სამართალი, როგორც ნორმათა სისტემა, სამართალი როგორც სოციოლოგიური ფენომენი და მისი მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ: სამართალი და სამართლიანობა, უნივერსალური და პოზიტიური სამართალი: სამართლის ანთროპოლოგია, სამართალი როგორც კულტურისა და ცივილიზაციის ფენომენი; სამართალი და კულტურულ ფასეულობათა სისტემა, სამართლის შემეცნება, აღქმა, აღიარება და სამართლის ჰერმენევტიკა, მეტაფიზიკა, დიალექტიკა, ექსისტენციალიზმი და სამართალი.			
პროფესორის ასისტენტობა	პროფესორის ასისტენტობა, რომელიც წარმოადგენს არჩევით კომპონენტს, გულისხმობს დოქტორანტის ჩაბმას სასწავლო პროცესში სამართლის სკოლის აკადემიური პერსონალისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რაც გამოიხატება ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯგუფში ლექცია/სემინარის ჩატარებაში, სამეცნიერო ხელმძღვანელის მეთვალყურეობით. შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტებისა და კაზუსების მომზადებაში, ბაკალავრიატის სტუდენტთა წერითი ნაშრომების გასწორებაში, ბაკალავრიატის სტუდენტთა ზეპირ გამოკითხვაში.	არჩევითი	5	II
პირველი თემატური სემინარი	სამართლის სადოქტორო პროგრამის თანახმად თემატური სემინარი არის სასწავლო კომპონენტი და მისი თემატიკა არ უნდა იყოს დაკავშირებული სადოქტორო ნაშრომთან. დოქტორანტი ხელმძღვანელთან შეთანხმებით, არჩევს/ათანხმებს ნაშრომის სათაურს, ამუშავებს მას და წარადგენს საჯაროდ აიდოლოგორიის სინაშე.	სავალდებულო	20	I
მეორე თემატური სემინარი	სამართლის სადოქტორო პროგრამის თანახმად თემატური სემინარი არის სასწავლო კომპონენტი და მისი თემატიკა არ უნდა იყოს დაკავშირებული სადოქტორო ნაშრომთან. დოქტორანტი ხელმძღვანელთან შეთანხმებით, არჩევს/ათანხმებს ნაშრომის სათაურს, ამუშავებს მას და წარადგენს საჯაროდ აიდოლოგორიის სინაშე.	სავალდებულო	20	II
დისერტაციის მომზადება და დაცვა	სადისერტაციო ნაშრომი არის დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგი. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგ(ებ)ს, რომელსაც გააჩნია თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობა და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში. კვლევა ტარდება თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებითა და დებულებით გათვალისწინებული აკადემიური სტანდარტების დაცვით. ნაშრომი ექვემდებარება რეცენზირებას და საჯარო დაცვას.	სავალდებულო	120	III-VI